საექსპერტო დასკვნა

ტექნიკურ ანგარიშზე „ქ. თბილისში, კოსტავას ქ.№65-ში, საცხოვრებელი კომპლექსის სამშენებლო მოედნის საინჟინრო გეოლოგიური გამოკვლევა“.

შ.პ.ს. „კენ. კონსტრაქშენ“-ს ხელმძღვანელობის თხოვნით ჩვენს მიერ 2016 წლის ივნისში შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, კოსტავას ქ.№65-ში, საცხოვრებელი კომპლექსის სამშენებლო მოედანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისში, კოსტავას ქ.№65-ში, სცხოვრებელი კომპლექსის სამშენებლო მოედანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია შ.პ.ს „ჯეოინჟინერინგი“-ს გეოლოგიური ჯგუფის მიერ 2015 წლის მარტში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი, ინჟ. გეოლოგი რ. ყაველაშვილი. მათ მიერ ლაბორატორიულადაა გამოკვლეული გრუნტების თვისებები. ასევე შესწავლილია გრუნტის წყლების გამოვლინება და მათი აგრესიულობა ბეტონის ნაკეთობების მიმართ.

ანგარიშის დასაწყისში განხილულია საკვლევი ტერიტორიის ზოგადი გეომორფოლოგიური, გეოლოგიური და კლიმატური პირობები. ამრიგად დახასიათებულია ზოგადად საკვლევი ტერიტორიის გარემო.

საკვლევი უბნის გეოლოგიური პირობების გამოსაკვლევად ავტომანქანაზე დამონტაჟებული საბურღი დაზგით გაყვანილი იქნა 3 ჭაბურღილი, მათი საერთო სიგრძე შეადგენს 64 მეტრს (თითოეული 20-24 მეტრი). ჭაბურღილებიდან ამოღებული იქნა ნიმუშები მათი თვისებების დასახასიათებლად. ასევე აღებული იქნა გრუნტის წყლის სინჯები, რათა დადგენილიყო მათი აგრესიულობის ხარისხი ბეტონის ნაკეთობების მიმართ.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების შედეგად, საკვლევ მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტების 5

საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი (გრუნტების კლასიფიკაცია გაკეთებულია სახ. სტანდ. 25100-82წ., ხოლო გრუნტების აგრესიულობის ხარისხი ბეტონის ნაკეთობების მიმართ შეფასებულია ს.ნ. და წ. 2.03.11.85-ის მიხედვით):

I ს.გ.ე. – თიხნარი ყავისფერი, ნახევრადმაგარი

II ს.გ.ე. – თიხნარი რბილპლასტიკური

III ს.გ.ე. – თიხნარი მოყავისფრო-მონაცრისფრო, ხრეშისა და კანჭების შემცველობით

IV ს.გ.ე. – ლენტური თიხები, ძნელადპლასტიკური, ყავისფერი

V ს.გ.ე. – ლენტური თიხები, ნაცრისფერი, კარბონატული, ძნელადპლასტიკური,

ანგარიშში მოცემულია თითოეული საინჟ. გეოლოგიური ელემენტის ფიზიკურ-მექანიკური თვისებების სრული დახასიათება. მოცემულია მათი ნორმატიული და საანგარიშო მაჩვენებლები. განსაზღვრულია მათი გრანულომეტრული შედგენილობა. ზოგიერთ თვისებათა მონაცემები დამუშავებულია სტატისტიკური მეთოდით.

ანგარიშში გარკვეული მოცულობა უჭირავს ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიურ პირობებს. გრუნტის წყალი გახსნილი იქნა ყველა ჭაბურღილში, მიწის ზედაპირიდან 2.65-5.02 მ. სიღრმეზე. წყალი ძლიერ დამარილიანებულია (საშუალოდ 3.16 გ/ლ). როგორც გამოკვლევებმა აჩვენა გრუნტის წყალი აგრესიულია ბეტონის ნაკეთობების მიმართ. აღსანიშნავია ს.გ.ე. №4-ის, ყავისფერი თიხების ფილტრაციის კოეფიციენტი შეადგენს $9.5X10^{-4}$ სმ/წმ (0.82 მ/დღ.ღ), რაც ჩვენი აზრით ძალიან დიდია.

ანგარიშში განხილულია არსებული საყრდენი კედლის ფუძის გრუნტული პირობები. ამისათვის გაყვანილი იქნა შურფები და გამოკვლეული იქნა საყრდენი კედლის ფუძე-გრუნტების თვისებები (გაყვანილი იქნა 3 საძიებო შურფი). გამოკვლევებით დადგინდა, რომ საყრდენი კედელი დაფუძნებულია თიხებზე (ს.გ.ე.4), მათი დასკვნით არსებული საყრდენი კედელი საჭიროებს გაძლიერება-გამაგრებას.

ტერიტორიის გეოლოგიური ჭრილები წარმოდგენილია ერთ ფურცელზე. ანგარიშში მოცემულია კომპრესიისა და ჭრის გრაფიკები ბუნებრივი

პირობებისათვის და კონსოლიდირებულ მდგომარეობაში. სულ ჩატარდა 10 ცდა. ასევე ჩატარებულია კომპრესიაზე 10 ცდა.

ანგარიშში გარკვეული ადგილი ეთმობა გრუნტის სტანდარტულ დატკეპნას. მოცემულია დატკეპნის შედეგები, როდესაც დატკეპნა ხდებოდა სტანდარტული მეთოდით ლაბორატორიულ პირობებში. როგორც გაირკვა აღნიშნული სამუშაო შესრულდა დამკვეთის თხოვნით.

ანგარიშის ბოლოს წარმოდგენილია ფოტოგრაფიული მასალა.

დ ა ს კ ვ ნ ა

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოები კარგად ასახავს საკვლევი ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიურ პირობებს. ანგარიშში შინაარსობრივად არის გამოკვლეული საკვლევი ტერიტორიის გრუნტული პირობები. ყველა საკითხი, რომელიც შეიძლება წამოიჭრას მშენებლობის პერიოდში გრუნტთან შეხებაში, ანგარიშში შესწავლილი და გამოკვლეულია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვთვლით, რომ წარმოდგენილი ტექნიკური ანგარიში „ქ. თბილისში, კოსტავას ქ.№65-ში, საცხოვრებელი კომპლექსის სამშენებლო მოედნის საინჟინრო გეოლოგიური გამოკვლევა“, დადებით შეფასებას იმსახურებს და მიღებული შედეგები შეიძლება დაედოს საფუძვლად მშენებლობის პროექტს საფუძვლად საინჟინრო გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების
მიმართულების ხელმძღვანელი,
ტექნ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი /გ. ჭოხონელიძე/

CV - ჭოხონელიძე გუგა

გვარი, სახელი, მამის სახელი	ჭოხონელიძე გუგა ილიას ძე
ბინის ტელეფონის ნომერი	ქ. თბილისი, კეკელიძის №10, ბინა 25 ტელ.: 2-22-00-44
დაბადების თარიღი	1928 წლის 16 თებერვალი
განათლება	1945 წელს დავამთავრე ქ. თბილისის 12 ვაჟთა სკოლა, 1950 წელს დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტ სამშენებლო ფაკულტეტი, მშენებელ-ინჟინერის სპეციალობით, 1972 წელს დავამთავრე იგივე ინსტიტუტი, ინჟინერ-გეოლოგის სპეციალობით.
მინიჭებული კვალიფიკაცია	1974 წელს ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი (დიპლომი) 1975 წელს პროფესორი საინჟინრო გეოლოგიაში (დიპლომი) 2000 წელს საქართველოს საინჟინრო აკადემიის - აკადემიკოსი
საქმიანობა და სამუშაო გამოცდილება	1950-1958 წწ. ჰიდროგეოლოგიისა და მელიორაციის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი; 1958-1974წწ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში; 1983 წლიდან დღემდე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტე გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების მიმართულ ხელმძღვანელი
გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები და პუბლიკაციები	გამოქვეყნებულია 98 სამეცნიერო შრომა, მათ შორის მონოგრაფი „საქართველოს ლიოსისებური გრუნტები“ (1976წ) და „ამიერკავკასიის ლიოსისებური გრუნტები“ (1988 წ.) შესწავლილი და ანგარიშები დაწერილი მაქვს ინგურის ჰიდროელექტროსადგურის, ქ. თბილისის,. ქ. რუსთავის სოხუმისა და ქ. ფოთის საინჟინრო „გეოლოგიურ პირობებ გაცემული მაქვს 100-ზე მეტი საექსპერტო დასკვნა მშენებლობას დაკავშირებული ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებზე. მაქვს გამოგონებები გრუნტების გამაგრებაზე. ვარ ავტორი სახელმძღვანელოებისა: „გრუნტების მექანიკა და ფუძე-საძირკვლები“ 2005 წ. და „ საინჟინრო ნაგებობები“ (2012 წ.). ვარ ავტორი სამშენებლო ნორმების: 2.02.01 – 2003 წ. „შენობა-ნაგებობათა ფუძე-საძირკვლები“.
უცხო ენების ცოდნა	ქართული - მშობლიური; რუსული - კარგად; ინგლისური - ლექსიკონის დახმარებით

АТТЕСТАТ
ПРОФЕССОРА

ПР № 005702

Москва

Решением
Высшей аттестационной комиссии
при Совете Министров СССР

от 23 ноября 1979 г. (протокол № 37)

Чохонелидзе Гуле Ильичу

ПРИСВОЕНО УЧЕНОЕ ЗВАНИЕ

ПРОФЕССОРА

ПО КАФЕДРЕ

гидрогеологии и инженерной геологии

Председатель
Высшей аттестационной комиссии

Главный ученый секретарь
Высшей аттестационной комиссии

დიპლომი

Я № 168169

ეს დიპლომი მიეცა გუგა იდიას ძე
ჯოხონელიძეს
მასზე, რომ იგი 1961 წელს შევიდა ჯიელნიანის
სახ. შრომის წითელი დროშის ორდენოსანი
საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში
და 1972 წელს დაამთავრა
ელექტრომექანიკური ინსტიტუტის
სრული კურსი სპეციალობით ჰიდროგენერატორები
და საინჟინრო გეოდეზია

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1972 წ.
„30“ ივნისის №8 გადაწყვეტილებით
გ. ჯოხონელიძეს მიენიჭა
ელექტრომექანიკოსის ინჟინერის
კვალიფიკაცია.

საბჭოს თავმჯდომარე

ქალაქი თბილისი 1973 წ. „2“ აპრილი
სარეგისტრაციო № ГЕ-205

Грузинский яз.

საქართველოს რესპუბლიკა

მოქალაქის პირადობის მოწმობა



პირადი № 01026010589

სახელი გეგა

გვარი ჭოხონელიძე

დაბადების თარიღი 16.02.1928 წ.

დაბადების ადგილი თბილისი

ეროვნება ——————

N° ღ 0266413

პირადი ხელმოწერა

მისამართი ——————

მოწმობის გამცემი ორგანოს დასახელება თბილისის საბერთაოს რაიონის მ.ს. მეორე ქვეგანყოფილება

გაცემის თარიღი 29.09.2000 წ.

მოქმედების ვადა ——————

ბ.ა. თანამდებობის პირის ხელმოწერა